Insurance State Supervision Service of Georgia

Digitally signed by Insurance State Supervision Service of Georgia
Date: 2020.12.24 16:21:08 +04'00'

Georgian Microsystems LTD

Digitally signed by Georgian Microsystems LTD
Date: 2020.12.24 16:28:24 +04'00'

ხელშეკრულება №05/2021
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **დეკემბერი, 2020 წელი**

ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი სამსახურის უფროსის დავით ონოფრიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მაისურაძის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.2. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.
1.4. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი
2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ საჭიროებისთვის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საინფორმაციო–საძიებო სისტემის ინფორმაციული განახლების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა **(CPV 48600000).**
2.2. გასაწევი მომსახურების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართ №1–ში, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **720.00 (შვიდასოცი)** ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდაც ეკისრება „მიმწოდებელს“.
3.3. შემსყიდველის დაფინანსების წყარო: 2021 წლის საკუთარი შემოსავლები.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის პირობები
4.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს 1 (ერთი) სერვერისა და 20 (ოცი) სამომხმარებლო პაკეტის (client) საინფორმაციო საძიებო სისტემა „კოდექსის“ ყოველკვირეულ ინფორმაციულ განახლებას 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღიარებულ სტანდარტებს.

მუხლი 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით ყოველი საანგარიშო თვის დასრულების შემდეგ მხარეებს შორის გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გარდა, „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს ანგარიშ–ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.
5.3. დეკემბრის თვის მომსახურებაზე ზემოაღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2021 წლის 25 დეკემბრისა.
5.4. შემსყიდველის მხრიდან, მომსახურების გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება შემსყიდველის ადმინისტრაციული დეპარტამენტის თანამშრომელს.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები
6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, “მიმწოდებლის” მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება – ჩაბარების აქტი და წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურა.
6.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვეს 6.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.4. მიღება–ჩაბარების აქტისა და ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენის გარეშე არ განხორციელდება თანხის გადახდა.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. “შემსყიდველი” უფლებამოსილია:
7.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება; აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
7.1.2. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
7.1.3. არ მიიღოს მომსახურება, თუ ის ნაკლიანია, არ შეესაბამება მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხს და განუსაზღვროს „მიმწოდებელს“ გონივრული ვადა ნაკლის გამოსასწორებლად.
7.1.4. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება და ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის აღმოფხვრისთვის განუსაზღვროს დამატებითი ვადა, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში - უარი თქვას ხელშეკრულებაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის შესაბამისად.

7.2. “შემსყიდველი” ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს ანგარიშსწორება “მიმწოდებელთან” წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად.
7.2.2. დაიცვას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. “მიმწოდებელი” უფლებამოსილია:
7.3.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის მისაღები ანაზღაურების დროულად და სრულად გადახდა.
7.4. “მიმწოდებელი” ვალდებულია:
7.4.1. უზრუნველყოს „კოდექსის“ გამართული მუშაობა და ინფორმაციული განახლება ყოველკვირეულად, ახალი ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად, ასევე უზრუნველყოს მომსახურების გაწევა

სრულყოფილად, კეთილსინდისიერად და უნაკლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით.
7.4.2. საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
7.4.3. არაჯეროვნად გაწეული მომსახურების შემთხვევაში, განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა შეტყობინების მიღებიდან მაქსიმუმ 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, "შემსყიდველის" მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 8. დაუძლეველი ძალა
8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
8.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით.
9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად "შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;
9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა
წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
10.1. მხარეთა შეთანხმება;
10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
10.3. ერთი მხარის მიერ 10 დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;
10.5. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა
10.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 11. დავის გადაწყვეტა
11.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
11.2. ხელშეკრულების ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოსსაქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
12.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. ფორს–მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველი უფლებამოსილია, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
12.3. რომელიმე მხარის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
12.4. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, ვადაგადაცილებასთან დაკავშირებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.5. იმ შემთხვევაში თუ ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს ან/და მიმწოდებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება.

მუხლი 13. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების კონტროლი (ინსპექტირების პირობები)
13.1. შემსყიდველის სახელით ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელებს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის თანამშრომელი;
13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ შეატყობინებს „მიმწოდებელს“ აღნიშნულის თაობაზე და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. განსაკუთრებული პირობები
15.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
15.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.
15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

15.4. ხელშეკრულებაზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	**შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“**
ს/კ 205 305 025	**ს/კ 202 268 517**
მისამართი: ქ. თბილისი, ლ.მიქელაძის ქ. №3	მის.: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №2, ბ.4
საბანკო რეკვიზიტები:	
სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები:
	სს “პროკრედიტ ბანკი”
	ბანკის კოდი: MIBGGE22
	ანგ.№ GE40PC0293600100008969
სამსახურის უფროსი	დირექტორი
დავით ონოფრიშვილი	არჩილ მაისურაძე

დანართი №1

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურსა

და შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“ შორის დადებული ხელშეკრულებით (№ 05/2021)

გათვალისწინებული მომსახურების ჩამონათვალი

დასახელება	სერვერული პაკეტის რაოდენობა	სამომხმარებლო პაკეტის(client) რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მომსახურების პერიოდი (ვადა)	მიწოდების ადგილი
საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საინფორმაციო–საძიებო სისტემის ინფორმაციული განახლება	**1**	**20**	**60.00**	**720.00**	2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	ქ. თბილისი ლ. მიქელაძის ქუჩა № 3

სსიპ საქართველოს დაზღვევის

სახელმწიფო ზედამხედველობის

სამსახურის უფროსი

დავით ონოფრიშვილი

შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“-ის

დირექტორი

არჩილ მაისურაძე